



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 43
30/07/2019

43-09-4-201907301727



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12
განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი
კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების
შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“
63-ე მუხლის შესაბამისად,

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019
წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს
განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების
შესახებ“.

1. განკარგულებით დამტკიცებული დანართი „თელავის მუნიციპალიტეტში 2019
წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა“
ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ
სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით
აღმაშენებლის გამზირი №41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო



თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა

№	ღონისძიების დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	კულტურული ინიციატივები	სხვადასხვა სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებისგან შემოსული ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა	წლის განმავლობაში	16 250
2	ფესტივალი „ხელოვნება და შემოქმედება“	ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანების გამოვლენა და ახალგაზრდობის ხელოვნების სხვადასხვა სფეროთი დაინტერესება	ივნისი	26 250
3	არქეოლოგიური ბანაკი (გონიო - აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი)	პროექტის ფარგლებში საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ 10 დღის განმავლობაში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქეოლოგიის შესახებ, მოინახულონ სხვადასხვა მუზეუმ-ნაკრძალები	ივლისი-აგვისტო	27 500
	ჯამური თანხა			70 000

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო